საკონკურსო განცხადება

1. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო აცხადებს კონკურსს, ქ. ბათუმში, თამარისის დასახლებაში „ბნქ"-ს 30 506,0 მ² ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდი N05.30.18.034., ფართობი - 24 486,0 მ²), (საკადასტრო კოდი N05.30.18.031., ფართობი - 6020 მ²) და მათ მიმდებარედ - „ბითმაჟი"-ს ტერიტორიებზე მდებარე 60 616,0 მ² მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი N05.30.31.010), დევნილთა გრძელვადიანი განსახლების მიზნით, განაშენიანების გენერალური გეგმის და დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა-მიწოდების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე და კონკურსში მონაწილეობის მისაღებად იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს.

2. ელექტრონული კონკურსის მიზანი:

2.1. ქ. ბათუმში, თამარისის დასახლებაში „ბნქ"-ს 30 506,0 მ² ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდი N05.30.18.034., ფართობი - 24 486,0 მ²), (საკადასტრო კოდი N05.30.18.031., ფართობი - 6020 მ²) და მათ მიმდებარედ - „ბითმაჟი"-ს ტერიტორიებზე მდებარე 60 616,0 მ² მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი N05.30.31.010) (დევნილთა გრძელვადიანი განსახლების მიზნით) განაშენიანების გენერალური გეგმის და დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა-მიწოდების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა;

2.1.1. კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს წინამდებარე საკონკურსო დოკუმენტაციის 2.1. პუნქტით განსაზღვრულ 91 122,0 მ² ტერიტორიაზე მდებარე მომიჯნავე მიწის ნაკვეთების განაშენიანების გენერალური გეგმის არქიტექტურული კონცეფცია და შესაბამისი საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია;

2.1.2 **დასაპროექტებელი ობიექტი:** მრავალფუნქციური კომპლექსის (საცხოვრებელი, სავაჭრო, დასასვენებელი, რეკრეაციული და ინფრასტრუქტურის სხვა შესაბამისი ობიექტები);

3. **მრავალფუნქციურ კომპლექსში გათვალისწინებული უნდა იყოს** საცხოვრებელი ფართების (ბინები) მაქსიმალური ოდენობა. ამასთან, საცხოვრებელი კომპლექსის უნდა ითვალისწინებდეს მოქმედი სტანდარტებით გათვალისწინებულ ინფრასტრუქტურას, საპროექტო სიმჭიდროვის შესაბამისად;

3.3. შენობა-ნაგებობების არქიტექტურულ-კომპოზიციური გადაწყვეტა და კავშირი მიმდებარე გარემოსთან:

3.3.1 სატრანსპორტო გადაწყვეტა;

3.3.2. ტერიტორიასთან კავშირი განხორციელდეს არსებული და დასაპროექტებელი გზების გამოყენებით;

3.3.3 საპროექტო ტერიტორიის შიდა სატრანსპორტო ქსელი და მისი არსებული სატრანსპორტო სისტემასთან მიერთების სქემა სატრანსპორტო დატვირთვების ანგარიშის გათვალისწინებით;

3.3.4 სქემაში თითოეული მიწის ნაკვეთი უზრუნველყოფილი იქნეს მისასვლელი სამანქანო გზით;

4. **სივრცითი მოცულობითი გადაწყვეტა:**

4.1 სართულიანობა, განაშენიანების ტიპი;

4.2 არსებულ განაშენიანებასთან ინტეგრირება;

4.3 ბუფერული ზონები;

4.4 აღქმის წერტილები, დომინანტები, სილუეტი;

5. მოთხოვნები იმ ფიზიკური და იურიდიული პირების უფლებების დაცვაზე, რომელთა ინტერესებსაც ეხება ტერიტორიის სამშენებლო განვითარება.

6. დაცული იქნეს მიწის ნაკვეთის საზღვარზე (მიჯნაზე) სამშენებლო წესებისა და ნორმების მოთხოვნები. შენობების განთავსების ადგილები განისაზღვროს ზოგადი საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნების შესაბამისად, რომელიც წარმოდგენილი უნდა იყოს განაშენიანების რეგულირების გეგმის შეთანხმებისას, ხოლო ინდივიდუალური მშენებლობის სტადიაზე წარმოდგენილი იქნეს შესაბამისი სამშენებლო ტერიტორიის გეოლოგიური დასკვნა.

7. საინჟინრო უზრუნველყოფის გეგმა:

7.1. გრგ-ს პროექტით განისაზღვროს სპეციალური ადგილები საკომუნიკაციო მომსახურების უზრუნველსაყოფად, საინჟინრო კომუნიკაციების არსებობის შემთხვევაში დაცული იქნეს მათთან მიერთების სამშენებლო ნორმები, ხოლო მათი გადატანის აუცილებლობის საკითხი შეთანხმდეს მის მფლობელთან.

7.2. ქალაქგეგმარებითი პარამეტრები განისაზღვროს გრგ-ს შესაბამისად;

7.3.. განაშენიანების სივრცითი-გეგმარებითი სახეობა განისაზღვროს გრგ-ს პროექტით;

7.4. განაშენიანების რეგულირების ხაზები (წითელი ხაზები) განისაზღვროს გრგ-ს პროექტით;

7.5. განაშენიანების სავალდებულო ხაზები (ლურჯი ხაზები) განისაზღვროს გრგ-ს პროექტით;

7.6. განაშენიანების მაქსიმალური სართულიანობა განისაზღვროს გრგ-ს პროექტით;

8. გამარჯვებულმა კონკურსანტმა უნდა უზრუნველყოს სამშენებლო სამუშაოების ჩატარებისთვის საჭირო სრული და დეტალური, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა-მოწოდება. აღნიშნული დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს იმ სახით და მოცულობით, რომ შესაძლებელი

იყოს მის საფუძველზე შესასრულებელი სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის განხორციელება მოქმედი კანონმდებლობის და გავრცელებული პრაქტიკის შესაბამისად.

9. სამუშაოების დაგეგმარების პრინციპი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში არსებულ სტანდარტებს.

10. განსახორციელებელ სახელმწიფო შესყიდვაზე მისაწოდებელი მომსახურების საწყისი საკარაუდო ღირებულება შეადგენს **300,0** (სამასი ათასი ლარი) **ათას ლარს.**

11. საკონკურსო წინადადების წარდგენისთვის პირი იხდის ელექტრონულ კონკურსში მონაწილეობის საფასურს **50** (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით. საფასური გადაიხდება კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე (www.procurement.gov.ge) მითითებულ ანგარიშზე:

მიმღების ბანკი	სს ბანკი „რესპუბლიკის" ცენტრალური ფილიალი
ბანკის კოდი: REPLGE22	
მიმღები	სსიპ - „კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო"
მიმღების ანგარიშის № GE52BR0000010591718543	

12. საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:

- გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი;
- შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
- კონკურსანტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
- საკონკურსო განცხადების კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისთვის მინიჭებული უნიკალური ნომერი.

13. საკონკურსო წინადადება, რომელიც არ შეიცავს საფასურის გადახდის დამადასტურებელ შესაბამის დოკუმენტს არ განიხილება. ამასთანავე, ამ განცხადების მე-5 ან მე-6 პუნქტების დარღვევით წარდგენილი საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის შემთხვევაში პირის საკონკურსო წინადადება დისკვალიფიცირებული იქნება.

14. წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება მოქმედებს კონკურსში გამარჯვებულ კონკურსანტთან ხელშეკრულების დადებამდე.

15. საკონკურსო წინადადებით გათვალისწინებული ყველა დოკუმენტი და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე და ხელმოწერილი - შესაბამისი უფლებამოსილი პირის მიერ.

16. საკონკურსო წინადადები წარმოდგენილი უნდა იყოს დალუქული კონვერტით მისამართზე - ქალაქი თბილისი, თამარაშვილი ქ. №15ა, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს კანცელარია.

17. საკონკურსო წინადადების მიღება მთავრდება 2013 წლის 03 სექტემბერს 14:00 საათზე. დაგვიანებით წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება არ განიხილება.

18. ანგარიშსწორება განხორციელდება გაწეული მომსახურების შემდგომ, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ეროვნულ ვალუტაში (ლარი).

19. მომსახურების მიწოდება განხორციელდება შესაბამისი სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების სრულად გაწევის შემდეგ გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შესაბამისი დოკუმენტაციის საფუძველზე.

20. კონკურსანტმა (კონკურსში მონაწილეობის მისაღებად) შემსყიდველის საკონკურსო კომისიის სახელზე (დალუქული კონვერტით) უნდა წარმოადგინოს:

20.1. ტერიტორიის განაშენიანების ესკიზური პროექტი;

20.2. საპროექტო შენობის ესკიზური პროექტები (კონსტრუქციული გადაწყვეტის განმარტებით) სამინისტროს პრიორიტეტების გათვალისწინებით. კერძოდ:

20.2.1. ერთოთახიანი ბინა - 30,0-35,0 მ²;

20.2.2. ერთოთახიანი ბინა - 50,0 მ²;

20.2.3. ერთოთახიანი ბინა - 65,0-70,0 მ²;

20.3. მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები, დასახლების გარე კომუნიკაციებთან მიერთების გათვალისწინებით;

21.0. საკონკურსო წინადადებასთან ერთად კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს:

21.1. ინფორმაცია (ესკიზები, ფოტოები და მაკეტი, ელექტრონული ფორმითაც) კონკურსანტის მიერ განხორციელებული ანალოგიური თემატიკის არქიტექტურული პროექტის შესახებ;

21.2. ინფორმაცია დოკუმენტაციის მიწოდების ვადის შესახებ;

21.3. ინფორმაცია ანგარიშსწორების პირობების შესახებ;

21.4. რეკვიზიტები;

21.5. დაგეგმარების თაობაზე შედგენილი განმარტებითი ბარათი.

22. საკონკურსო წინადადება, რომლის ფასი აღემატება შესყიდვის საკარაუდო ღირებულებას - 300,0 (სამასი ათასი ლარი) ათას ლარს არ განიხილება.

23. საკონკურსო წინადადების შეფასება და გამარჯვებული კონკურსანტის გამოვლენა მოხდება 10-ქულიანი სისტემით, შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით:

23.1. სრული დაგეგმარების არქიტექტურული კონცეფცია: კოეფიციენტი – 0,7;

23.2. საკონკურსო წინადადების ფასი: კოეფიციენტი – 0,3.

23.3. კონკურსანტი გამარჯვებულად ჩაითვლება, თუ მას საკონკურსო კომისიის წევრები ყველაზე მაღალ ჯამურ ქულას მიანიჭებენ. ქულათა თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მიერ მინიჭებული ქულა.

24. საკონკურსო კომისიას შეუძლია მოახდინოს იმ საკონკურსო წინადადების დისკვალიფიცირება, რომლის კონცეფციაც მიუღებელი იქნება ესთეტიკური ან/და კონცეპტუალური თვალსაზრისით.

25. გამარჯვებულმა კონკურსანტმა საკონკურსო პირობებით გათვალისწინებული საბოლოო დოკუმენტაცია უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 სამუშაო დღემდე ვადაში.

26. შემსყიდველი იტოვებს უფლებას, საჭიროების შემთხვევაში ცვლილებები შეიტანოს წინამდებარე საკონკურსო დოკუმენტაციაში.

27. გამარჯვებულმა კონკურსანტმა საბოლოო დოკუმენტაციის შედგენისას მჭიდროდ უნდა ითანამშრომლოს შემსყიდველთან და გაითვალისწინოს მისი შენიშვნები და წინადადებები. გენერალური გეგმის შედგენის მიმდინარეობა შემსყიდველთან განხილული უნდა იქნეს არანაკლებ კვირაში ორჯერ მაინც.

28. გენერალური გეგმა და მის მიხედვით შედგენილი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს როგორც წერილობით, ისე ელექტრონული ფორმით.

29. საკონკურსო კომისიას უფლება აქვს, ხელშეკრულების დადებამდე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს შესყიდვის პროცედურა, თუ ეს აუცილებელი გახდება მისგან დამოუკიდებელი და წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზების გამო, აგრეთვე, საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე.

30. შემსყიდველი არ არის ვალდებული, აუნაზღაუროს კონკურსანტს შესყიდვაში მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯები.

31. კონკურსანტს დამატებითი განმარტებების მიღება შეუძლია შემდეგ მისამართზე: ქალაქი თბილისი, თამარაშვილის ქ. №15ა, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო.

შენიშვნა:

საკონტაქტო პირები - კონკურსის მიმდინარეობის საორგანიზაციო საკითხებზე მაიკო მიქაია, ტელ.: 2 31 15 80, ხოლო გენერალური გეგმის და მის მიხედვით შედგენილი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დაგეგმარების არქიტექტურული კონცეფციის საკითხებზე - გია ნაჭყებია, ტელ: 599 035437.

საპროექტო დავალება

1. ქ. ბათუმში, თამარისის დასახლებაში „ბნქ"-ს 30 506,0 მ² ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდი N05.30.18.034., ფართობი - 24 486,0 მ²), (საკადასტრო კოდი N05.30.18.031., ფართობი - 6020 მ²) და მათ მიმდებარედ - „ბითმაჟი"-ს ტერიტორიებზე მდებარე 60 616,0 მ² მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი N05.30.31.010) (დევნილთა გრძელვადიანი განსახლების მიზნით) განაშენიანების გენერალური გეგმის და დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა-მიწოდების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა;

1.1. კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს წინამდებარე საკონკურსო დოკუმენტაციის 2.1. პუნქტით განსაზღვრულ 91 122,0 მ² ტერიტორიაზე მდებარე მომიჯნავე მიწის ნაკვეთების განაშენიანების გენერალური გეგმის არქიტექტურული კონცეფცია;

1.2 დასაპროექტებელი ობიექტი: მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსი (საცხოვრებელი, სავაჭრო, დასასვენებელი, რეკრეაციული და ინფრასტრუქტურის სხვა შესაბამისი ობიექტები);

2. საპროექტო ორგანიზაციამ (და/ან პირი) უნდა წარმოადგინოს:

2.1. ტერიტორიის განაშენიანების ესკიზური პროექტი;

2.2. საპროექტო შენობის ესკიზური პროექტები (კონსტრუქციული გადაწყვეტის განმარტებით) სამინისტროს პრიორიტეტების გათვალისწინებით. კერძოდ:

2.2.1. ერთოთახიანი ბინა - 30,0-35,0 მ²;

2.2.2. ერთოთახიანი ბინა - 50,0 მ²;

2.2.3. ერთოთახიანი ბინა - 65,0-70,0 მ²;

2.3. მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები, დასახლების გარე კომუნიკაციებთან მიერთების გათვალისწინებით;

3. საპროექტო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს 3 (სამი) ეტაპად, 30 (ოცდაათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

3.1. პირველი ეტაპი - ტერიტორიის გენერალური განაშენიანებისა და კეთილმოწყობის საპროექტო დოკუმენტაცია:

3.1.1. ადგილობრივი თვითმმართველობის (მმართველობის) ორგანოების შესაბამის სამსახურებთან შეთანხმებული ტერიტორიის გენერალური განაშენიანების პროექტი (განაშენიანების ინტენსივობა და საპროექტო საცხოვრებელი ფართი არუნდა იყოს კონცეპციით წარმოდგენილზე ნაკლები);

3.1.2. ვერტიკალური გეგმარების პროექტი;

3.1.3. კონსტრუქციული პროექტი;

3.1.4. ტერიტორიაზე ძალოვანი ელექტრო ქსელის პროექტი;

3.1.5. ტერიტორიაზე წყალმომარაგებისა და კანალიზაციის ქსელის პროექტი;

3.1.6. მცირე არქიტექტურული ფორმები;

3.1.7. ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოების საორიენტაციო ხარჯთაღრიცხვები;

3.1.8. მშენებლობის ორგანიზაციის ხაზოვანი გრაფიკი.

3.2. მეორე ეტაპი - ტიპიური საცხოვრებელი კორპუსების საპროექტო დოკუმენტაცია:

3.2.1. ტიპიური საპროექტო შენობების არქიტექტურული პროექტები;

3.2.2. ტიპიური საპროექტო შენობების კონსტრუქციული პროექტები;

3.2.3. ტიპიური საპროექტო შენობების სანტექნიკური პროექტები;

3.2.4. ტიპიური საპროექტო შენობების ელექტრო-ტექნიკური პროექტები;

3.2.5. სამშენებლო ხარჯთაღრიცხვა;

3.2.6. მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი.

3.3. მესამე ეტაპი - გარე კომუნიკაციები (ელექტრო მომარეგება, წყალმომარაგება-კანალიზაცია და სხვა)

4. საპროექტო ორგანიზაციამ უნდა უზრუნველყოს ტერიტორიის განაშენიანების რეგულირების გეგმის და საპროექტო დოკუმენტაციის დამუშავებისას წამოჭრილი საკითხების (მათ შორის, გარე კომუნიკაციების პროექტები) გასაწყვეტის ღონისძიებების შეთანხმება შესაბამის ორგანიზაციებთან, „შემსყიდველთან" კოორდინირებულთან (საჭიროების შემთხვევაში სამინისტროს მიერ შესაბამისი ფორმით დამოწმებული თანხმობით).

5. სამუშაოების დაგეგმარების პრინციპი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში არსებულ სტანდარტებს.

6. განსახორციელებელ სახელმწიფო შესყიდვაზე მოსაწოდებელი მომსახურების საწყისი სავარაუდო ფასი განსაზღვრულია ჩასატარებელი სამუშაოების ღირებულების შესაბამისად და შეადგენს **300,0** (სამასი ათასი ლარი) **ათას ლარს.**

7. საპროექტო ორგანიზაცია (მიმწოდებელი) უზრუნველყოფს ტერიტორიის განაშენიანების რეგულირების გეგმისა და საპროექტო დოკუმენტაციის დამუშავებისას წამოჭრილი საკითხების გადაწყვეტის ღონისძიებების შეთანხმებას შესაბამის ორგანიზაციებთან და შემსყიდველთან კოორდინირებულ რეჟიმში.

8. გამარჯვებულმა კონკურსანტმა უნდა უზრუნველყოს ზემოაღნიშნული ობიექტის გენერალური გეგმით დადგენილი დოკუმენტაციის შედგენა-მოწოდება. აღნიშნული დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს იმ სახით და მოცულობით, რომ შესაძლებელი იყოს მის საფუძველზე შესასრულებელი სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის განხორციელება მოქმედი კანონმდებლობის და გავრცელებული პრაქტიკის შესაბამისად;

9. დაგეგმარებითი და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა უნდა განხორციელდეს ისე, რომ შესაბამისი სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების სახარჯთაღრიცხვო ღირებულება არ აღემატებოდეს **საქართველოში მოქმედი სტანდარტებით და წორმატივებით განსაზღვრულ პარამეტრებს.**

10. გამარჯვებული კონკურსანტი (მიმწოდებელი) ვალდებულია შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნის შემთხვევაში განახორციელოს დაგეგმარებული სამუშაოების მიმდინარეობის მონიტორინგი მის მიერ შედგენილი და მიწოდებული, ობიექტის განაშენიანების გენერალური გეგმით დადგენილი, პარამეტრების შესაბამისად.

11. საკონკურსო წინადადების ფასში სრულად უნდა აისახოს კონკურსით გათვალისწინებულ მომსახურებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი, მათ შორის, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული გადასახადები, მოსაკრებლები და გადასახდელები.

12. განაშენიანების გენერალური გეგმა და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია მომზადებული უნდა იყოს საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმების და სტანდარტების შესაბამისად.

13. საკონკურსო წინადადების თანახმად წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე ჩასატარებელი სამუშაოების შესრულების პროცესში აღმოჩენილი არქიტექტურული ან/და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო ხარვეზების გამოსწორებას, დამატებითი ანაზღაურების გარეშე, უზრუნველყოფს პროექტის ავტორი.

14. პროექტირების პერიოდში წინამდებარე საკონკურსო განცხადების ტექნიკური დავალებით გაუთვალისწინებელი სამუშაოების შესრულების საკითხი თანხმდება (წერილობით) შემსყიდველთან, შესაბამისი სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებით დადგენილი ღირებულების ფარგლებში.

MINISTRY OF INTERNALLY DISPLACED PERSONS FROM THE OCCUPIED TERRITORIES, ACCOMMODATION AND REFUGEES OF GEORGIA

სახელმწიფო შესყიდვის
ხელშეკრულება
N ------

ქ. თბილისი --- --------- 2013 წ.

(პროექტისა და გეგმის მომზადების და ხარჯების გამოთვლის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა „კონკურის" (N ----------) საშუალებით

ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ერთის მხრივ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო (შემდგომში – შემსყიდველი), წარმომადგენელი მინისტრის ---------- სახით და ---------- (შემდგომში "მიმწოდებელი"), წარმომადგენელი ---------- სახით მეორეს მხრივ, (შემდგომში - მხარეები) ვაფორმებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება (შემდგომში - „ხელშეკრულება") - „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის N3 ბრძანებით დამტკიცებული „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის" მოთხოვნების საფუძველზე შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული, მხარეების მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულება, მასში მინიშნებული ყველა თანდართული დოკუმენტით;

1.2. შემსყიდველი ორგანიზაცია (შემდგომში „შემსყიდველი") - ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.3. „მიმწოდებელი" - ნიშნავს იურიდიულ ან ფიზიკურ პირს, რომელმაც შემსყიდველთან გააფორმა ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

1.4. ხელშეკრულების ღირებულება - ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისთვის;

1.5. კონკურსი - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის N3 ბრძანებით დამტკიცებული „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის" მოთხოვნების თანახმად, შემსყიდველის გადაწყვეტილებით განსახორციელებელი საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის ალტერნატიული საშუალება.

მუხლი 2. ხელშეკრულების გაფორმების საფუძველი

კონკურსის საშუალებით მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმების საფუძველია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის N3 ბრძანებით დამტკიცებული „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესი"-ს მოთხოვნები, საკონკურსო დოკუმენტაცია, შემსყიდველის მოთხოვნები და კონკურში (N ----------) გამარჯვებული კონკურსანტის წინადადება.

მუხლი 3. ხელშეკრულების საგანი

3.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ---------- დევნილთა გრძელვადიანი განსახლებისთვის საჭირო განაშენიანების გენერალური გეგმის და დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა-მიწოდების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა, „საქართველოს 2013 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონით შემსყიდველისთვის გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში.

3.2. CPV - **„პროექტისა და გეგმის მომზადება, ხარჯების გამოთვლა";**

3.3. შესყიდვის საშუალებად გამოყენებულია „კონკურსი" (----------).

3.4. ხელშეკრულების საგანი არ ითვალისწინებს სკოლამდელი და სასკოლო დაწესებულებების, გარე ქსელების (ელექმომარაგება, გაზიფიკაცია, წყალმომარაგება) პროექტირებას და სახელმწიფო და კერძო ინსტანციებში პროექტის შეთანხმებასთან დაკავშირებუ ხარჯებს. აღნიშნული მომსახურების გაწევა განისაზღვრება დამატებითი ხელშეკრულებებით.

მუხლი 4. ხელშეკრულების ღირებულება (ფასი)

4.1. მომსახურების მიწოდების საერთო სავარაუდი ღირებულება შეადგენს ---------- ლარს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების (მათ შორის, დღგ), მოსაკრებლების და სხვა შესაბამისი გადასახდელების გათვალისწინებით;

4.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულება არ აღემატება კონკურსში (N ----------) გამარჯვებული კონკურსანტის მიერ დაფიქსირებულ საბოლოო ფასს;

4.3. წინამდებარე ხელშეკრულებაში დაფიქსირებული გასაწევი მომსახურების ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრებს და მისი გაზრდა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დაუშვებელია;

4.4. ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დასაშვებია მხარეთა შეთანხმებით, მხოლოდ ხელშეკრულების პირობებში მითითებულ შემთხვევებში და ზომით;

მუხლი 5. მომსახურების მიწოდების ვადა

5.1. საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიწოდების ვადად დადგენილია პერიოდი - ხელშეკრულების ხელმოწერიდან ---------- ჩათვლით, ხოლო წარმოდგენილი დოკუმენტაციით გაუთვალისწინებელი ან სამუშაოების ინსპექტირებისას გამოვლენილი წუნის გამოვლენის შემთხვევაში - სამუშაოების სრულად დასრულებამდე.

5.2. პროექტის დასრულების ვადები დამოკიდებულია ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ საპროექტო დოკუმენტაციით განსაზღვრული მოცემულობების შეთანხმების ვადებზე.

5.3. მომსახურება მიწოდება ხორციელდება სამ ეტაპად. კერძოდ,

5.3.1. პირველი ეტაპი ----------;

5.3.2. მეორე ეტაპზე მიეწოდება ----------;

5.3.3. მესამე ეტაპი - ----------.

მუხლი 6. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერიდან და მოქმედებს ---------- ჩათვლით.

მუხლი 7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. „მიმწოდებელი" ვალდებულია:

7.1.1. წინამდებარე ხელშეკრულების და საკონკურსო წინადადებით დადგენილი პირობების შესაბამისად განახორციელოს მომსახურების მიწოდება. იგი პასუხისმგებელია მიწოდებული მომსახურების ხარისხზე და დროულობაზე, პასუხს აგებს და სრულად უნაზღაურებს „შემსყიდველს" მისთვის მიყენებულ ზარალს;

7.1.2. შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის, ეტაპის) მიღებისას გამოვლენილი წუნი ან/და უზუსტობა აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით, შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 10 (ათი) კალენდარულ დღემდე ვადაში;

7.1.3. შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნისთანავე (საჭიროების შემთხვევაში) ჩაერთოს სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობის პროცესში და საკუთარი სახსრებით გამოასწოროს მის მიერ პროექტირებისას გაუთვალისწინებელი პირობები, რომლებიც გამოვლინდა სამუშაოების მიმდინარეობისას;

7.2. „მიმწოდებელი" პასუხს აგებს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისიწწებული გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა შესაბამისი გადასახდელების დროულ გადახდაზე;

7.3. „შემსყიდველი" ვალდებულია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი და შესრულებული ვალდებულებები აანაზღაუროს სრულად;

7.4. "შემსყიდველი" არ აგებს პასუხს "მიმწოდებლის" მიერ მესამე პირის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებზე. მესამე პირისათვის მიყენებულ ზიანზე ან/და ზარალზე;

7.5. შემსყიდველი უფლებამოსილია, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა-მიწოდების და მათ საფუძველზე განსახორციელებელი სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების დასრულებამდე პერიოდში, ნებისმიერ ეტაპზე მოიწვიოს შემსრულებელი, საკონსულტაციო მომსახურების და შედგენილ დოკუმენტაციაში კორექტივების განსახორციელებლად, რაიმე დამატებითი ანაზღაურების გაწევის გარეშე.

მუხლი 8. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

8.1. შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი (ეტაპი) ჩაითვლება მიღებულად (მიწოდებულად) მხოლოდ შესაბამისი „მიღება-ჩაბარების" აქტის გაფორმების და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ, თუ ხელშეკრულების პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული;

8.2. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების და საბოლოო შემოწმების ადგილი, პირობები, ეტაპები და წესი ასახულია ხელშეკრულების პირობებში;

8.3. შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგებით დაწუნებული მომსახურების ან/და მისი ნაწილის (ეტაპის) თაობაზე და მიუთითოს წუნდების მიზეზები;

8.4. შემსყიდველს შეუძლია უარი განაცხადოს შესყიდვის ობიექტის ან მისი ნაწილის (ეტაპის) მიღებაზე იმ შემთხვევაშიც, თუ შუალედური კონტროლის (მონიტორინგის) შედეგები იყო დადებითი;

8.5. მიღება-ჩაბარების აქტზე ხელის მოწერას შემსყიდველის მხრიდან უზრუნველყოფს დევნილთა დეპარტამენტის ტექნიკური ზედამხედველობის სამმართველო.

მუხლი 9. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

9.1. „შემსყიდველი" უფლებამოსილია შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად განახორციელოს მომსახურების შესყიდვის მიმდინარეობის შესაბამისობის შემოწმება ხელშეკრულებით და საკონკურსო პირობებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან;

9.2. „შემსყიდველის" მხრიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისობის ინსპექტირებას (მონიტორინგი) განახორციელებს დევნილთა დეპარტამენტის ტექნიკური ზედამხედველობის სამმართველო (შემდგომში - სამმართველო), ხოლო საჭიროების შემთხვევაში - სამმართველო და მიმწოდებელი ერთობლივად;

9.3. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი წუნის ან/და უზუსტობა შესახებ „შემსყიდველი“ დაუყოვნებლივ აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით, ხოლო გამოვლენილი წუნის ან/და უზუსტობის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურებას უზრუნველყოფს „მიმწოდებელი“, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 10. მიწოდებული მომსახურების ხარისხი და გარანტია

10.1. „მიმწოდებელი“ იძლევა გარანტიას, რომ საკონკურსო პირობებით განსაზღვრული ტექნიკური დავალების მიხედვით მიწოდებული მომსახურება იქნება მაღალი ხარისხის და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი;

10.2. მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის წერილობითი შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს უხარისხოდ შესრულებული მომსახურების ან მისი ნაწილის გამოსწორება, შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე;

10.3. მიმწოდებლის მიერ ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები წარმოქმნილი დეფექტების გამოსასწორებლად და მოთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით მიმწოდებლისთვის გადასახდელი თანხიდან;

10.4. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, „მიმწოდებელს“ დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,5%-ის ოდენობით, მაგრამ არა უმეტეს სახელშეკრულებო ღირებულების 80%-ისა;

10.5. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არასრულად შესრულების შემთხვევაში, „მიმწოდებელს“ დაეკისრება საჯარიმო სანქცია შეუსრულებელი სამუშაოს ღირებულების 100%-ის ოდენობით;

10.6. ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ პროექტის შეუთანხმებლობა წინამდებარე ხელშეკრულების პირობებით დადგენის ვადებში არ ჩაეთვალება „მიმწოდებელს“ პროექტის შესრულების და მიწოდების ვადების დარღვევად.

11. ხელშეკრულების შესრულების გარანტია ან დაზღვევა

ხელშეკრულების შესრულების გარანტიის ან დაზღვევის მოთხოვნა სავალდებულოა თუ ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს ან აღემატება 200 000 ლარს, ხოლო თუ ხელშეკრულების საერთო ღირებულება ნაკლებია 200 000 ლარზე, ხელშეკრულების შესრულების გარანტიის ან დაზღვევის მოთხოვნა დაუშვებელია.

მუხლი 12. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადა) და ადგილი

12.1. ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით, საქართველოს ეროვნულ ვალუტაში „ლარი“;

12.2. გაწეული მომსახურების ანაზღაურება განხორციელდება ეტაპობრივად, გაწეული მომსახურების მიწოდების თაობაზე შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ, 10 (ათი) საბანკო დღის ვადაში;

12.3. მომსახურების მიწოდების პირველი ეტაპის დასრულებისას ასანაზღაურებელი თანხის ოდენობა შეადგენს ----------, მეორე ეტაპის სამუშაოების დასრულებისას - ----------, ხოლო მესამე ეტაპის დასრულებისას ასანაზღაურებელი თანხის სავარაუდო ოდენობა ----------.

13. მომსახურების გაწევის პირობები

13.1. მომსახურების გაწევა ხორციელდება მიმწოდებლის საკონკურსო წინადადებაში ასახული ან/და წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი მიწოდების გრაფიკის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შესაბამისად;

13.2. ხელშეკრულების პირობებში დაფიქსირებული პერიოდულობით (ვადებში) შემსყიდველი და მიმწოდებელი ერთობლივად განიხილავენ გრაფიკის შესრულების მიმდინარეობის საკითხებს და საჭიროების შემთხვევაში ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, წერილობითი ფორმით, შეაქვთ გრაფიკში სათანადო ცვლილებები.

13.3. ხელშეკრულების დამდებ არც ერთი მხარეს არა აქვს უფლება შეიტანოს გრაფიკში ცვლილებები მეორე მხარესთან წერილობითი შეთანხმების გარეშე.

მუხლი 14. ხელშეკრულებაში ცვლილების/დამატების შეტანა

14.1. ხელშეკრულების დამდებ არც ერთი მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები;

14.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს. ამავე დროს, „შემსყიდველი“ არ არის ვალდებული წარუდგინოს „მიმწოდებელს“ რაიმე მტკიცებულება იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რის გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა;

14.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის (შეთანხმება) სახით, რომელიც იქნება ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი;

14.4. კონკურსით შესყიდვის ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილება/დამატება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით და აიტვირთოს სახელმწიფო შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში ხელშეკრულებაში ცვლილების/დამატების შეტანიდან არა უგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა.

14.5. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

14.6. „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის“ 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

მუხლი 15. უფლებების გადაცემა

მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

მუხლი 16. ფორს-მაჟორი

ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების (საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორს-მაჟორული გარემოებები) დადგომის გამო არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

მუხლი 17. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზარალისათვის მხარეები ერთმანეთის წინაშე პასუხს აგებენ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 18. ხელშეკრულებიდან გასვლა

18.1. ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით;

18.2. ხელშეკრულებიდან გასვლასთან და ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებით გამოიყენება ეს ხელშეკრულება და მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნები.

მუხლი 19. დავების გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების მეშვეობით მოაგვარებენ მათ შორის წარმოქმნილ ნებისმიერ უთანხმოებას და დავას, ხოლო შეუთანხმებლობის შემთხვევაში - მიმართავენ სასამართლოს, საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 20. ხელშეკრულების ენა

20.1. წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია ქართულ ენაზე.

20.2. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული წერილობითი და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის უნდა შედგეს ქართულ ენაზე;

20.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე --- ეგზემპლარად და სამივეს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა.

მუხლი 21. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო ს. კოდი 200037646 მის: ქ. თბილისი თამარაშვილის 15ა ტელ: 2 31 15 80 სახელმწიფო ხაზინა ბ. კოდი 220101222 ა/ა 200122900 სახაზინო კოდი - 302009921	






05.30.42.010
22.21.10.014
22.21.10.163
22.21.10.009
22.21.10.283
22.21.10.282
22.21.10.253
22.21.10.211
22.21.10.304
22.21.10.242
22.21.10.388
22.21.10.023
22.21.10.284
22.21.10.281
22.21.10.259
22.21.10.195
22.21.10.397
22.21.10.386
22.22.11.032
22.22.11.143
22.21.10.229
22.21.10.017
22.21.10.028
22.22.11.121
22.22.09.554
22.22.11.019
05.30.41.001
05.30.28.011
05.30.28.010
05.20.30.001
05.30.18.030
05.30.18.029
05.30.18.033
05.30.18.001
05.30.18.023
41.65799, 41.65971